

სს „საქართველოს რკინიგზის“
დირექტორთა საბჭოს
დადგენილება

№15/35 2020 წლის 4 სექტემბერი ქ. თბილისი

„სატვირთო გადაზიდვების ტარიფები და დამატებითი საფასურები“-ში დამატების შეტანის შესახებ.

1. ცნობად იქნას მიღებული, სს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალ „საქართველოს რკინიგზის სატვირთო გადაზიდვების ფილიალის“ 2020 წლის 4 სექტემბრის №32857 მოხსენებითი ბარათი.

2. მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 64-ე მუხლის შესაბამისად, სს „საქართველოს რკინიგზის“ დირექტორთა საბჭოს 2016 წლის 29 ნოემბრის №30/50 დადგენილებით დამტკიცებულ „სატვირთო გადაზიდვების ტარიფები და დამატებითი საფასურები“-ში შეტანილ იქნას დამატება, კერძოდ მუხლი VII.-ს მე-4 პუნქტის გ) ქვეპუნქტს პირველი აბზაცის მერე დაემატოს ახალი აბზაცი შემდეგი რედაქციით:

„ამასთან, 2020 წლის 1 სექტემბრიდან - 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით პერიოდში, მეთანოლისთვის (29051100), როდესაც გამოგზავნი სადგური აზერბაიჯანის რკინიგზის სადგურია ტარიფი მთელი მოცულობის ერთ ტონაზე შეადგენს - 14 აშშ დოლარს.“.

3. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს 2020 წლის პირველი სექტემბრიდან.

4. ფილიალმა „ვორლდ ბიზნეს სოლუშენს“ (ნ.ქუბინიძე) უზრუნველყოს შესაბამისი ცვლილების შეტანა სატვირთო გადაზიდვების ბილინგის ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

5. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე განახორციელოს სს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალ „საქართველოს რკინიგზის სატვირთო გადაზიდვების ფილიალის“ დირექტორის მოადგილემ ფინანსურ დარგში (მ.ტალახაძე).

დირექტორთა საბჭოს
თავმჯდომარე

 დ.ფერაძე